საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თურდოს ხევი

თურდოს ხევი, ხევი მდინარე თურდოს გასწვრივ კახეთში (თელავის მუნიციპალიტეტი), ცივ-გომბორის მთიდან მდ. ალაზნამდე. უძველეს ხანაში და ადრე შუა საუკუნეებში წარმოადგენდა სასაზღვრო ხევს ქართლის სამეფოსა (ივერია) და ალბანეთის სამეფოს შორის, ხოლო შემდეგ – ქართლის სამეფოს, კახეთისა და ჰერეთის პროვინციებს შორის. ხევში მდებარეობს სოფ. გულგულა რ-იც სასაზღვრო ორიენტირი იყო ზემოხსენებული პროვინციებისათვის.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973.

დ. მუსხელიშვილი